საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
დედამიწის მეგობრები – საქართველო

გარემო და საზოგადოება

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პერიოდული გამოცემა. № 2 (28) 2015 წელი

Clean Up Georgia

სად „მიდიან" ჩვენი ნარჩენები ...

საბჭოთა კავშირის დროინდელი ნარჩენები, დღემდე ჩვენ საარსებო გარემოს თვალშისაცემ და მძიმე კვალს ამჩნევენ...

არადა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ეგრეთწოდებული ლეგალური ნაგავსაყრელი პოლიგონების მდგომარეობა ერთიორად გაუარესდა, ხოლო სტიქიურმა ნაგავსაყრელებმა თითქმის მთელი ქვეყანა დაფარა...

პრაქტიკულად არ დარჩენილა, ქალაქი, დაბა, თუ სოფელი, რომელიც ნარჩენების თვითნებურად განთავსების გამო საკუთარი სტიქიური ნაგვის ბუდით არ „ამაყობდეს"!

ეს ყოველივე კი, როგორც უკვე ვახსენეთ უმძიმეს გავლენას ახდენს, როგორც ჩვენ სასიცოცხლო გარემოზე, ასევე ჯანმრთელობაზე... რადგან სწორედ ერთად დაგროვილი ათასობითა და ათიათასობით ტონა ნარჩენის „ნაჟური" (ფილტრატი) წარმოადგენს საქართველოს მდინარეებისა და მიწისქვეშა წყლების, ზღვის სანაპიროსა და ისედაც მცირემიწიანი ქვეყნის ნაყოფიერი ნიადაგების უმთავრეს წყაროს! ხოლო რაც შეეხება „ნაგვის ხანძრებს", ისინი ჯოჯოხეთური ალის მსგავსად შთანთქავენ ნარჩენებს და მომწამლავი ნივთიერებებით გაჯერებულ კვამლში ხვევენ ჩვენს საცხოვრისს. ეს კვამლი კი მართლაც რომ ჯოჯოხეთურია, ამაზე მეტყველებს მათი შემცველობა, რომელიც დიოქსინებით, მძიმე მეტალებით, ასევე მთელი რიგი სხვა მდგრადი, თუ არამდგრადი სიმსივნეებისა და სხვა უმძიმესი, მათ შორის სასიკვდილო დაავადებების გამომწვევია!

ასეთი მძიმე, შეიძლება ითქვას კატასტროფული ვითარების მიუხედავადაც კი, საქართველომ ისე განვლო დამოუკიდებლობის აგერ უკვე 24 წელი, რომ ნარჩენების მართვის შესახებ კანონი ვერა და ვერ მიიღო...

2015 წლის, 15 იანვრიდან, როგორც იქნა „ნავსი გატყდა" და ამოქმედდა „ნარჩენების მართვის კოდექსი", რომლის მიზნებსა და ამოცანებს შორის განსაკუთრებული ადგილი სწორედ ნაგავსაყრელი პოლიგონების საკითხს უკავია!

კარგია, რომ დაიწყო ამ მიმართულებით ფიქრი, რომლის პრაქტიკული შედეგები მალე გამოვლინდება, თუმცა კითხვა, რომელიც ყველას აწუხებს - „სად მიდიან ჩვენი ნარჩენები?!" ჯერ კიდევ ბოლომდე პასუხგაცემული არაა...

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ანუ იმ უწყების წარმომადგენლები, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ ნარჩენების მართვის კოდექსზე, ადასტურებენ, რომ ნარჩენების პოლიგონების საკითხი, მართლაც ერთ-ერთ უმთავრესს წარმოადგენს!

გარდა სტიქიური ნაგავსაყრელებისა, რომელიც საქართველოს ყველა რეგიონის პრობლემაა, საქმე ლეგალური ნაგავსაყრელების რეორგანიზაციასაც შეეხება, ჩვენი მონაცემებით საქართველოში დაახლოებით 54 ლეგალური ნაგავსაყრელია, რომლიდანაც სულ 15 ნაგავსაყრელი უნდა დარჩეს, რა სახით მოხდება არსებული ნაგავსაყრელების დახურვა, დაკონსერვება და ახლის მშენებლობა ჯერჯერობით უცნობია.

ნაგავსაყრელი პოლიგონები, ახლად მიღებული „ნარჩენების მართვის კოდექსის" თანახ-

მად 3 კატეგორიად დაიყოფა: სახიფათო ნარჩენების, არასახიფათო ნარჩენებისა და ინერტული (ანუ სამშენებლო) ნარჩენების ნაგავსაყრელებად.

რაც შეეხება უკვე არსებულ ნაგავსაყრელებს, კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ არსებული ნაგავსაყრელი მოქმედებას მხოლოდ იმ შემთხვევაში განაგრძობს, თუ მასთან მიმართებაში განხორციელებული იქნება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით დადგენილი პროცედურები და გაცემული იქნება შესაბამისი ნებართვა

ამავე კოდექსის თანახმად გარემოს დაცვის სამინისტროსთან უნდა შეთანხმდეს კანონმდებლობით დადგენილ გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობაში ნაგავსაყრელის მოყვანის გეგმა. ეს იმ შემთხვევაში, თუ მოქმედ ნაგავსაყრელს შესაბამისი გარემოსდაცვითი ნებართვა არ გააჩნია, ასეთები კი არსებულთა აბსოლუტური უმრავლესობაა! ამგვარი პოლიგონის ოპერატორი კი ვალდებულია მთავრობის შესაბამისი დადგენილების მიღებიდან 6 თვეში სამინისტროს ნაგავსაყრელის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმა შეუთანხმოს. ამ პერიოდში კი ნაგავსაყრელმა უნდა განაგრძოს. ფუნქციონირება.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე თეიმურაზ მურღულია აღნიშნავს, რომ „ნარჩენების მართვის საკითხი რთული, მაგრამ ეტაპობრივად მოგვარებადია და სწორედ ამას ისახავს მიზნად ახლადმიღებული „ნარჩენების მართვის კოდექსი“.

,,ამ მიმართულებით სამუშაოები დაწყებულია, მაგალითად თელავის ნაგავსაყრელი უკვე დაიხურა და იქ პრაქტიკულად არც სუნია და არც ნარჩენების გაფანტვის პრობლემა არსებობს, ქუთაისში თითქმის მოგვარდა სიტუაცია, ახლაც მიმდინარეობს სამუშაოები. უახლოეს მომავალში იქ დაირგვება ხეები, მოეწყობა სადრენაჟო სისტემა და ა.შ“ აცხადებს ბ-ნი მურღულია“.

აღნიშნულთან დაკავშირებით მისი ოპონენტები, მათ შორის გარემოსდაცვითი საკითხების ექსპერტი „გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფი-კავკასიის“ ხელმძღვანელი ლაშა ჩხარტიშვილი აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ დღემდე საქართველოში არცერთი ნაგავსაყრელი პოლიგონის სრულფასოვანი კონსერვაცია არ მომხდარა და ყველაფერი მხოლოდ მიწის მიყრით მთავრდება. ეს კი ხსნის მხოლოდ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემას, ხოლო ნიადაგი და წყალი კვლავ ძველებურად იწამლება, რადგან არ ხდება დაგროვილი ნარჩენების კოლოსალური მასის იზოლირება გარემოსაგან, ნიადაგისა და წყლისაგან.. ასე იყო შევარდნაძის პერიოდში ლილოს ნაგავსაყრელის დახურვისას, სააკაშვილის პერიოდში - გლდანი ნაგავსარელის, ახლა კი თელავის შემთხვევაში... თუმცა ვნახოთ, იმედია კოდექსის ამოქმედების შემდგომ მაინც ვიხილავთ მართლაც კონსერვირებულ და არამარტო მიწამიყრილ ნაგავსაყრელ პოლიგონებს...

გარემოს დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის თეიმურა მურღულიასვე განცხადებით...

„სახელმწიფოს მყარი ნარჩენების კომპანია უკვე დიდი ხანია მუშაობს რეგიონული ნაგავსაყრელების შექმნის საკითხზეც, იმისათვის რომ გაიხსნას კარგი და თანამედროვე ნაგავსაყრელი პოლიგონი, მომზადებაა საჭირო, რომ მაგალითად იქ დაყრილმა ნაგავმა არ გაჟონოს მიწაში და უვნებელი გახდეს, ამას დაახლოებით 2-3 წელი სჭირდება, დაპროექტებიდან გახსნამდე...

კარგი ნაგავსაყრელის მხოლოდ პროექტის მომზადებას მინიმუმ 6 თვე სჭირდება... ნაგავსაყრელი არ არის ტერიტორია – სადაც მხოლოდ შევიდა და დაყარა მანქანამ ნაგავი, ჯერ მზადდება ქვედა ფენა, წყალგაუმტარი ფენა, შემდეგ დრენაჟის სისტემა, ეს ყველაფერი კი საჭიროროა იმისთვის, რომ ნარჩენების ხრწნის შედეგად გამოყოფილი გაზის (მეთანის) დაგროვების შედეგად არ მოხდეს აფეთქება! საპროექტო სამუშაოებისთვის, მიმდინარე წელს 15 მილიონი ლარია გამოყოფილი და ვიმედოვნებ კიდევ გაიზრდება საერთაშორისო დონორების მხრიდან დახმარება, რადგან ეკონომიკური თვალსაზ-

რისით, საქართველოს მაღალ სტანდარტებზე დამოუკიდებლად გასვლა ძალიან გაუჭირდება.

საბედნიეროდ, მთელი მსოფლიო დაინტერესებულია მყარი ნარჩენების პრობლემის მოგვარებაში და ტრადიციული პარტნიორები ძალიან გვეხმარებიან ამ საკითხში.

ეს არის საკითხი, რომელიც პრემიერ მინისტრის უშუალო კონტროლზეა აყვანილი და შესაბამისად არავის არ სურს უუნარო აღმოჩნდეს.

რაც შეეხება საბოლოო შედეგებს, ჩვენ ეტაპობრივად მივდივართ საქართველოში ნაგავსაყრელი პოლიგონების და ზოგადად ნარჩენების მართვის პრობლემების საბოლოო მოგვარებისკენ...“

ნარჩენების მართვის კოდექსის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ მთლიანობაში დასახული მიზნების მისაღწევად წინასწარი გათვლით, 10-წლიან პერიოდში სავარაუდოდ საჭიროა 370 მილიონი ლარის ინვესტიცია, რაც მოიცავს ახალი ნაგავსაყრელის მოწყობას (108 მლნ), 90 ნაგავგადამტვირთავი სადგურების მოწყობას (35 მილიონი), ძველი ნაგავსაყრელების დახურვას (44 მლნ), კომპოსტირების საწარმოების მოწყობას (10 მლნ), ნარჩენებისა და ტრანსპორტირებისათვის კონტეინერების, მანქანებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების შეძენის კაპიტალურ ხარჯებს (173 მლნ.).

არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“-ს თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს კანონპროექტის ეფექტურობის საკითხს და მის ხარვეზებზე საუბრობს:

„ეს კანონპროექტი მხოლოდ ნაწილობრივ აწესრიგებს ნარჩენების მართვის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს. ის არ ამბობს, როგორი უნდა იყოს ნაგავსაყრელი და რა წესები უნდა იყოს დაცული, ან, რა წესით უნდა დაიხუროს ძველი ნაგავსაყრელი და როგორ უნდა გაიხსნას ახალი... რა მეთოდოლოგია უნდა არსებობდეს ამ ყველაფერის განსახორციელებლად... მასში მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ ამ ყოველივეს დასარეგულირებლად მომავალში ნორმატიული აქტები უნდა იქნეს შემუშავებული...

ცალკე საკითხია სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების საკითხი, სახიფათო ნარჩენებთან მიმართებაში ჯერჯერობით საერთოდ გაურკვეველია რა მოხდება, იმიტომ რომ ჩვენ არ გვაქვს ამ დანიშნულების რეგიონალური ტიპის ან სხვაგვარი ნაგავსაყრელი პოლიგონები... შესაბამისი რეგულაციები ასევე არაა მოცემული კანონში, სადაც ამ შემთხვევაში მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ ამ ყოველივეს განსასაზღვრად მომავალში კანონქვემდებარე აქტები უნდა იქნეს შემუშავებული.“ - ამბობს ქალბატონი ნინო ჩხობაძე.

ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, მაინც საქართველოს მუნიციპალიტეტების (ყოფილი რაიონული გამგეობებისა და საკრებულოების) მზაობას ასახელებენ. ისინი ამბობენ, რომ გარდა მათი ინფორმირების პრობლემისა, განსაკუთრებულ სირთულეს სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა და ნაჩენების შეგროვება-გატანის სათანადო სისტემის შექმნა წარმოადგენს.

შეკითხვაზე, როგორ მოხდება ნარჩენების მართვა იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის შექმნილი საჭირო ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე თეიმურაზ მურღულია ამბობს, რომ კანონი თვითმმართველობების პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ სამინისტრო აიძულებს მუნიციპალიეტებს შეასრულონ თავისი საქმე, თვითონ მოამზადონ ნარჩენების მართვის გეგმა, ხოლო საჭირო ტექნიკითა და ურნებით მუნიციუპალიტეტებს ცენტარლური მთავრობა აუცილებლად უზრუნველყოფს.

და ბოლოს, ჩვენ ქვეყანაში, როგორც იქნა სათანადოდ დააფასეს „ნარჩენები“, დეკლარირების დონეზე მაინც... რაც სათანადო, სპეციალური კანონის - „ნარჩენების მართვის

კოდექსის“ მიღებაში გამოიხატა... გარემოსდაცვითი საკითხების ექსპერტთა ნაწილის აზრით ის არასრულფასოვანია, მაგრამ მათივე განცხადებით, მაინც კარგია, რომ არსებობს...

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კოდექსი დროულად დაიხვეწოს და მასში დარჩენილი „საკანონმდებლო ხვრელები“ მალე „ამოივსოს“ მასშივე მრავლად მოხსენიებული კანონქვემდებარე აქტებით... რათა ერთხელ და სამუდამოდ ჩვენ ქვეყანაში გარკვეული იყოს, ვინ, სად და როგორ უნდა გაიტანოს და გამოიყენოს ნარჩენები...

არანაკლებ პრინციპული და გადამწყვეტი საკითხია ის, თუ რამდენად სრულად „ამუშავდება“ კოდექსის თუნდაც დღევანდელი რედაქცია, რათა ერთხელ და სამუდამოდ პასუხი გაეცეს კითხვას, სად მიდიან სიყრმის მეგობრები კი არადა, ჩვენი ნარჩენები?

სოფო ძიგუა
TV და რადიო პალიტრა, გარემოსდაცვითი თოქ-შოუ „მწვანე-ზონის“ კორესპოდენტი

* * *

ნაგავსაყრელები და ნარჩენები

ის, რომ მყარი საყოფაცხოვრებო მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება დღეს, საქართველოში ნარჩენების მართვის ერთადერთი ფორმაა, ფაქტია. ვერც ქეეყანაში არსებული მოქმედი ნაგასაყრელების უმრავლესობა (თუ ყველა არა) ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და მათი ექსპლუატაციის ვადა გასულია. ამიტომ საჭიროა ნარჩენების მართვის ერთიანი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოობს ნარჩენების წარმოქმნის, შეგროვებისა და განთავსების სისტემის ჩამოყალიბებას ქვეყნის მასშტაბით. რადგან უსისტემო და გაუმართავი ნაგასაყრელების არსებობა უარყოფითად მოქმედებს როგორც ადამიანის ჯანმრთელობაზე, ასევე გარემოზე.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს დიდ ქალაქებში მეტნაკლებად მოწესრიგებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება, გატანა და ნაგავსაყრელზე განთავსება, რეგიონების დონეზე მაინც გაუმართავია სისტემა. შესაბამისად მრავლადაა სტიქიური ნაგავსაყრელები. თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტთან არსებობს მცირე ზომის არალეგალური ნაგავსაყრელები, რომელთა უმრავლესობა მდინარეების პირასაა განთავსებული, რის გამოც წვიმებისა და წყალდიდობების დროს მდინარეებში ირეცხება დიდი ოდენობის ნარჩენი, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოში არსებული ნაგავსაყრელების უმრავლესობაზე დარღვეულია უსაფრთხოების ნორმები, მათ შორის, უმრავლესობა არაა შემოღობილი, ამიტომ ნაგავსაყრელების ტერიტორიაზე ადვილად შედიან და გადაადგილდებიან პირუტყვები (ხშირ შემთხვევაში იკვებებიან სახიფათო ნარჩენით). სწორედ, ამიტომ საჭიროა ნარჩენების მართვის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშვება, რომლის მიზანი არა მარტო ევროსტანდარტების მქონე ნაგასაყრელები უნდა იყოს, არამედ ნარჩენების მოცულობის ტენდენციის შემცირება.

როგორ გადაწყვიტეს ნარჩენების პრობლემა დიდმა ქვეყნებმა

ცნობილია, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ნარჩნების მართვის სისტემა გულისმობს, არა მარტო ევროსტანდარტების მქონე ნაგავსაყრელების არსებობას, არამედ ნარჩენების პირველივე წარმოშობის წყაროში შემცირებას, მის მაქიმალურად გამოყენებასა და გარემოში რაც შეიძლება მცირე ნარჩენის განთავსებას. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა ნარჩენების მართვის სისტემა ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გამართეს, დღემდე აქტიურად მუშაობენ ნარჩენების გონივრულ მართვაზე და ცდილობენ ბევრი სარგებელის მიღებას - „წარმოქმენი ნაკლები“ და შესაბამისად „განათავსე მცირე“, „მართე ნარჩენი“ და „გამოიყენე გონივრულად“.

ამდენად, ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემა, რომელიც ფართოდაა დანერგილი მთელ მსოფლიოში, ეს არის ნარჩენების კონტროლისა და განთავსების მთელი რიგი ერთობლიობა, და ის ამ ეტაპისთვის 5 იერარქისაგან შედგება. ესენია: ნარჩენების შემცირება (RESUCE) - რაც გულისხმონს ნაკლების წარმოქმნას; ხელახალი გამოყენება (REUSE) - რაც გულისხმობს უკვე მოხმარებული ნივთის ხელახალ გამოყენებას; გადამუშვება (რეციკლირება) (RECYCLE) - რაც გულისხმობს უკვე მოხმარებული ნივთის გადამუშვებას და გამოყენებას ენერგიად; ნარჩენების გარდაქმნა ენერგიად (ENERGY RECOVERY) - რაც გულისხმობს სპეციალური ტექნოლოგიების მეშვეობით ნარჩენების თერმულ დამუშავებას, რომლის შედეგადაც წარმოიქმნება ენერგია და ნარჩნების განთავსება (DISPOSAL) - რაც გულისხმობს გამოუსადეგარი ნარჩენების ნაგავსაყრელებზე განთავსებას. რა თქმა უნდა ნარჩენების მართვის პრაქტიკა განსხვავებულია განვითარებადი და განვითარებული ქვეყნებისთვის, მაგრამ სურვილი იმისა, რომ ცხოვრობდე ჯანმრთეობისათვის უსაფრთხო გარემოში ყველა ქვეყნების მოქალაქისთვის უმნიშვენლოვანესია. შესაბამისად, რაც უფრო დიდი ინფრომირებული მოქალაქეების რიცხვი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებში, მით უფრო დიდია შანსი პრობლემის გადაჭრის.

ცნობიერების კამპანია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით

როგორც ავღნიშნეთ, ინფორმირებულ საზოგადოებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სწორად და ეფექტურად წარმართულ საინფორმაციო კამპანიას, რომელიც დაფუძნებული იქნება მსოფლიო ქვეყნების მაგალითებზე, ნარჩენების ეფექტურად მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ნარჩენების შემცირებაზე და ხშირ შემთხვევაში ნარჩენის, როგორც, მეორად რესურსად გამოყენებაზე, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი იკისროს სხვადასვა საკითხის მოგვარებაში, მათ შორის, გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში. ამდენად, საზოგადოების ყურადღების ნარჩენებზე გამახვილება წარმოადგენს პირველ ფუნდამენტურ ნაბიჯს მოსახლეობაში ნარჩენების პრევენციის და აღმოფხვრის კუთხით ქცევითი ცვლილებების სტიმულირებისათვის.

თუ კარგად გვეცოდინება რა ზიანის მიყენება შეუძლია სხვადასხა სახის ნარჩენებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე, რა საფრთხეებს შეიცავს ჩვენ მიერ უსისტემოდ დაყრილი (ხევები, მდინარეები, საპიკნიკე ადგილები) ნარჩენები, თუ გვეცოდინება რომ მუნიციპალური, საწარმოო თუ სხვადასხვა სახის ნარჩენების უმრავლესობა შესაძლებელია გადამუშვდეს და სასარგებლოდ იქცეს, თუ შევამცირებთ ნარჩენის წარმოქმნას

და შესაბამისად, გარემოში მოსახვედრი ნარჩენის მოცულობას - ეს გახდება ერთერთი წინ გადადგმული ნაბიჯი, რითაც ხელს შევუწყობთ გარემოს დაცვას და არ ვავნებთ ჩვენს ჯანმრთელობას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირად ჩვენს მიერ წარმოქმნილ ნარჩენს ასობით წელი სჭირდება რომ ბუნებაში დაიშლოს (მაგ. პლასტმასის ბოთლები, ცელოფნები და ა.შ.)

ამდენად, ნებისმიერი პრობლემის მოსაგვარებლად, ინფორმირებულ და მოტივირებულ საზოგადოების შეუძლია ეფექტურად იმოქმედოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

სწორედ, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ემსახურება პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში (ფაზა2)“, რომელსაც ახორციელებს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, მდგრადი განვითარების კავშირი EcoVision/ეკოხედვა“ და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, შვედეთის მთვრობის ფინანსური უზრუნველყოფით. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ნარჩენების მართვის პრობლემის მოგვარებას, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების გზით და მათ ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პროექტი 2010 წლიდან საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს და მთელი საქართველო მოიცვა. მას მოსახლეობამ თავიდანმე დიდი ნდომა გამოუცხადა, გამოხატეს მზადყოფნა აქტიურად ჩაერთონ ქყეყანაში ნარჩენების მართვის პროცესის გაუმჯობესებაში. სხვა ქვეყნების მაგალითებმა კი გვიჩვნა, რომ ეს ერთობლივი ძალისხმევით ეს შესაძლებელია.

საჭირო დრო ნარჩენების სახეების მიხედვით ბუნებაში დაშლისთვის
(http://www.control.ge/files/auditi/efeqtianobis-angarishi/mkari-narchenebi.pdf)

ნარჩენების სახე	დაშლისთვის საჭირო დრო
ქაღალდის ხელსახოცი	2-3 კვირა
ბანანის ქერქი	3-4 კვირა
ქაღალდის პარკი	1 თვე
გაზეთი	1,5 თვე
ვაშლის ნარჩენი	2 თვე
ფორთოხლის ქერქი	6 თვე
სიგარეტის ნამწვი	5-10 წელი
ტყავის ფეხსაცმელი	25-40 წელი
ფენოპლასტის ჭიქა	50 წელი
რეზინის საბურავი	50-80 წელი
პოლიეთილენის კონტეინერი	50-80 წელი
ალუმინის ქილა	200-500 წელი
პლასტმასის ბოთლი	450 წელი
ბავშვის ერთჯერადი საფენი	500 წელი
პოლიეთილენის პარკი	200-1000 წელი

დავასუფთაოთ ბორჯომი

22 აპრილს, დედამიწის დღესთან დაკავშირებით საქართველოს მწვანეთა ბორჯომის რეგიონალური კოორდინატორის ორგანიზებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, კამპანია „დავასუფთაოთ საქართველო“ ფარგლებში, ჩატარდა მასშტაბური დასუფთავების აქცია.

აქციის ფარგლებში დასუფთავდა საჯარო სკოლების, მუნიციპალიტეტისა და ბორჯომში არსებული პროფტექნიკური სასწავლებლის მიმდებარე ტერიტორიები. დაახლოებით 4,5 კმ სიგრძის მონაკვეთი. შეგროვდა 12 ტომარა ნარჩენი, რომელიც ადგილობრივი დასუფთავების სამსახურის მიერ განატნილი იქნა ნაგავსაყრელზე.

* * *

ამონარიდი „ნარჩენების მართვის კოდექსიდან“

თავი X

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება

მუხლი 31. მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება

1. 2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს დაჯარიმებას 80 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი საცხოვრებელი სახლიდან ან სხვა შენობა-ნაგებობიდან, – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან – გამოიწვევს მძღოლის, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში – შესაბამისი დამრღვევის დაჯარიმებას 120 ლარის ოდენობით.

4. 5 ერთეულამდე საბურავით (გარდა ველოსიპედის საბურავისა) გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით.

5. 5 ერთეული ან 5 ერთეულზე მეტი საბურავით (გარდა ველოსიპედის საბურავისა) გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

6. 2 კგ-მდე ბატარეის, აკუმულატორის, ელექტრონათურის, ელექტროსაქონლის, გრაფიტის ელექტროდის, ბასრი ან მჩხვლეტავი საგნის (მათ შორის, შუშის ნამსხვრევის, ლურსმნის ან სხვა მსგავსი საგნის) ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

7. 2 კგ ან 2 კგ-ზე მეტი მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება (გარდა ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა) – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

8. 1 მ³-ზე მეტი მოცულობის მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

9. დიდი მოცულობის ნარჩენით (მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების, ელექტრო - ან ელექტროტექნიკური დანადგარის, სამშენებლო დანადგარის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის) გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

მუხლი 32. სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება

1. 1 მ³-მდე მოცულობის სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. 1 მ3 ან 1 მ³-ზე მეტი მოცულობის სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

მუხლი 33. შლამისებრი ნარჩენი ნივთიერებებით – ფეკალური მასებით ან კანალიზაციის ნარჩენებით ტერიტორიის დაბინძურება

1. ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასით ტერიტორიის დაბინძურება – გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

2. 1 მ³-მდე მოცულობის ფეკალური მასით ან კანალიზაციის ნარჩენით ტერიტორიის დაბინძურება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. 1 მ³ ან 1 მ³-ზე მეტი მოცულობის ფეკალური მასით ან კანალიზაციის ნარჩენით ტერიტორიის დაბინძურება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

მუხლი 34. ცხოველის სხეულის ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება

1. 20 კგ-მდე ცხოველის სხეულის ნარჩენით (მათ შორის, სასაკლაოდან) გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

3. 20 კგ ან 20 კგ-ზე მეტი ცხოველის სხეულის ნარჩენით (მათ შორის, სასაკლაოდან) გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

მუხლი 35. მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა

1. მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების (ფოთლების, ბაღის/პარკის ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების) ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა – გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

2. მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნარჩენებისა) (მათ შორის, საბურავის, რეზინის და სხვა ელასტომერული მასალის) ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 36. სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა

1. სახიფათო ნარჩენების საკანალიზაციო სისტემაში ან მიწისქვეშა ან/და ზედაპირულ წყლებში ჩაშვება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

2. სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან სხვა ქმედება, ჩადენილი ნარჩენების შეგროვების კონტეინერის გარეთ – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

3. სახიფათო ნარჩენების შესაბამისი ნებართვის მქონე ინსინერატორის გარეთ დაწვა – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

4. სახიფათო ნარჩენების შესაბამისი ნებართვის მქონე ნარჩენების დამუშავების ობიექტის გარეთ დამუშავება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

მუხლი 37. ნარჩენების ტრანსპორტირებისას ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან დაბინძურება

1. არასახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისას არასახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან დაბინძურება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

2. სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისას სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან დაბინძურება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 350 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 800 ლარის ოდენობით.

მუხლი 38. სახიფათო ნარჩენების სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობის გარეშე ტრანსპორტირება

სახიფათო ნარჩენების სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობის გარეშე ტრანსპორტირება – გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

მუხლი 39. სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებთან, ნივთიერებებთან ან მასალებთან შერევა

1. 20 კგ-ზე ნაკლები სახიფათო ნარჩენის სხვა ნარჩენებთან, ნივთიერებებთან ან მასალებთან შერევა სამინისტროს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

2. 20 კგ ან 20 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენის სხვა ნარჩენებთან, ნივთიერებებთან ან მასალებთან შერევა სამინისტროს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 550 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

მუხლი 40. ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების ან მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის დარღვევა

1. ნარჩენების შეგროვება ან/და ტრანსპორტირება დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

2. არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების ობიექტის მოწყობა და ოპერირება დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

3. წელიწადში 2-დან 10 ტონამდე სახიფათო ნარჩენის შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

4. ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობა და ოპერირება დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

5. ამ კოდექსით გათვალისწინებული რეგისტრაციის პირობების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

6. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

7. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ამ კოდექსით გათვალისწინებულ ვადაში შეუმუშავებლობა ან/და აღნიშნული გეგმით განსაზღვრული ღონისძიების განუხორციელებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

მუხლი 41. არსებული ნაგავსაყრელის ოპერირების ვადისა და პირობების დარღვევა

არსებული ნაგავსაყრელის ოპერირების ამ კოდექსით დადგენილი ვადისა და პირობების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.

მუხლი 42. კომპანიის გარემოსდაცვითი მმართველის განსაზღვრის ან/და მისი ვინაობის სამინისტროსთვის შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა

კომპანიის გარემოსდაცვითი მმართველის განსაზღვრის ან/და მისი ვინაობის სამინისტროსთვის შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

მუხლი 43. კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის წარდგენის მოთხოვნების დარღვევა

1. მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში კომპანიის მიერ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მიუწოდებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

2. კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 250 ლარის ოდენობით.

მუხლი 44. ნარჩენების აღრიცხვისა და ანგარიშგების ვალდებულების შეუსრულებლობა

ნარჩენების აღრიცხვისა და ანგარიშგების ვალდებულების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

მუხლი 45. სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სპეციალური ვალდებულებების შეუსრულებლობა

1. სახიფათო ნარჩენებთან მომუშავე პერსონალის ინფორმირებისა და შესაბამისი სწავლების ჩატარების ვალდებულების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

2. სახიფათო ნარჩენების სეპარირებისა და შეგროვების სისტემის შექმნისა და დანერგვის ვალდებულების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 600 ლარის ოდენობით. (https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416)

* * *

დასუფთავების აქციები სამეგრელო ზემო-სვანეთში

22 აპრილი, „დედამიწის დღე“ სამეგრელო ზემო-სვანეთის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონალური კოორდინატორის ორგანიზებით, კამპანია „დავასუფთაოთ საქართველო“ ფარგლებში სხვადასხვა აქტივობებით აღინიშნა.

22 აპრილს, რეგიონის სხვადასხვა საჯარო სკოლებში მოეწყო კონფერენციები მოსწავლეებისათვის გარემოსდაცვით საკითხებზე, ჩატარდა დასუფთავების აქციები. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინიციატივით სპეციალურად 22 აპრილისთვის დამზადდა მაისურები, ქუდები და პლაკეტები.

დასუფთავების აქციის პარალელურად სოფელ რუხის საჯარო სკოლაში ჩატარდა გამწვანების აქცია, მოსწავლეების მიერ გამწვანდა სკოლის ეზოს ტერიტორია. აქციის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებმა გაუშვებს მტრედები, დედამიწაზე მშვიდობის სიმბოლო.

22 აპრილს, დედამიწის დღის ფარგლებში დასუფთავებისა და გამწვანების აქციაში ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და მესტიის მუნიციპალიტეტებში მონაწილობა მიიღო დაახლოებით 5000 ადგილობრივმა, დასუფთავდა დაახლოებით 31000 კვ.მ ფართობის ტერიტორია, გამწვანდა დაახლოებით 1100 კვ.მ ფართობის ტერიტორია, შეგროვდა დაახლოებით 660 m^3 ნარჩენი, რომელიც მუნიციპალიტეტების დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების მიერ გატანილი იქნა ნაგავსაყრელზე.

რუბრიკა მეცნიერება

მინერალური აზოტი ჩვენს ცხოვრებაში, ევროინტეგრაცია და . . . ძველი და ახალი გამოწვევები

Clean Up Georgia

გაზაფხული ჭირვეულად, მაგრამ მაინც მოდის, იწყება ახალი, 2015 ვეგეტაციის სეზონი, უკვე გამოჩნდა დახლებზე ახალი კარტოფილი და მალევე ველოდებით ჩვენებური მარწყვის გამოჩენასაც - ჩვენებურის, თორემ იმპორტირებული მსხვილი, ხორციანი და ძალიან ლამაზად ჩაწყობილი კენკრა უკვე რამდენიმე კვირაა ამშვენებს ჰიპერმარკეტების ასორტიმენტს. შემდეგ ადრეული საზამთროს ჯერიც დადგება და ა.შ.

პატარა ბავშვებისა და მოხუცების პატრონებისათვის გაზაფხულის სიხარული ჩვენში, როგორც წესი, ახლადშემოსული ნუგბარი კენკრისა და ბოსტნეულისაგან თავის შეკავებით და ზამთარგამოვლილი სტაბილური ასორტიმენტის ძებნით ზავდება. ამასვე გვირჩევენ ექიმები, მათ შორის ტელეეთერიდან და განსაკუთრებით პედიატრები.

რატომ?

ძალიან ხშირად კაციბრიობის მტრად ასეთ კონტექსტში გვარჯილები მოიხსენიება - აზოტის მჟავის მარილები, აზოტის მინერალური ფორმა, რომელიც ძალიან ადვილად იხსნება, ძალიან სწრაფად აღწევს ნიადაგში, უადვილესად აღწევს მცენარეში და საბოლოოდ საკვებში.

აზოტის მჟავის მარილები - ანუ ნიტრატები, თავისთავად მავნებლობით არ ხასიათდება, გარდა ერთისა - ისინი ძალიან სწრაფად აითვისებიან მეტაბოლიზმში და მათი გარდაქმნის პირველივე პროდუქტი - ნიტრიტი, უკვე საკმაოდ მავნე პროდუქტია, ხოლო დიდ დოზებში - საშიშიც.

რატომ?

ნიტრიტი პატარა მოლეკულაა, აქვს, მარტივად რომ ვთქვათ, ჰემოგლობინის ინჰიბირების ციანიდის მსგავსი მექანიზმი, და დიდი დოზებით იწვევს ორგანიზმის ჟანგბადით მომარაგების შეფერხებებს; გარდა ამისა ნიტრიტები არღვევენ ნაწლავური მიკროფლორის ბალანსს, იწვევენ ალერგიულ რეაქციებს და აქვთ გარკვეული კანცეროგენული ეფექტიც.

თავისთავად ნიტრიტი ადვილად ასიმილირებადი ანუ გარდაქმნადია და ბუნებრივი დოზების პირობებში მის არსებობას და „მზაკვრობას“ ვერც კი შევამჩნევთ; ნიტრიტების საფრთხე „ჩვენებური, “ბარაქიანი“ მოხმარების შედეგად დგება, რაც თავის მხრივ, გვარჯილების უმეცარი მოხმარებისა და სასუქთან მოსავლის ციკლების შეჭიდულობის არცოდნასთან არის დაკავშირებული. მარტივად რომ ვთქვათ, არ გვაქვს ფერმერების განათლების არანაირი მექანიზმი, ხოლო სერტიფიცირების ინსტიტუტი - რაც თავისთავად ძალიან კარგია! ჯერ მხოლოდ ფეხს იდგამს. ევროპის კულტურული სივრცისაკენ სვლის, ეს მონაპოვარი უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფორმალური საბაზრო რეგულაციების მოწესრიგებისა და სამართლიანი კონკურენციის სივრცის ამუშავებისათვის, არამედ ჩვენი საზოგადოების და უპირველესად ყოვლისა, ბავშვების ჯანმრთელობისათვის. ხოლო „ფეხს იდგამს“ - იმიტომ, რომ მხოლოდ ნორმატიული ჩარჩო და/ან ხელმისაწვდომი ლაბორატორია (ხაზს ვუსვამთ ხელმისაწვდომობას როგორც ინდივიდუალური მიმართვიანობის სიხშირის, ისე ეკონომიკური ასპექტების გადმოსახედიდან) სამამულო რეალობას ვერ გამოგვისწორებს, ვინაიდან ჩვენი (და უამრავი სხვა ქვეყნის) აგრარული ბაზარი არაფორმალური ეკონომიკის დიდი სეგმენტით ხასიათდება, რასაც მცირე ფერმერების ფაქტორი განაპირობებს.

ხშირად გვგონია, რომ „მცირე ფერმერი“ ჩვენი ეროვნული „უბედურებაა“ - ასე არ არის, მსოფლიოს ფერმერთა თემი სწორედ რომ მცირე ფერმერების აბსოლუტური უმრავლესობაა.

ამიტომ, საჯარო და არასამთავრობო სექტორებისათვის მნშვნელოვანი გამოწვევაა სამოქალაქო განათლების სფეროში საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობის მომენტების გათვალისწინება(ც) თუნდაც სასურსათო უვნებლობის კონტექსტში.

აქვე დავსძენთ, რომ გვარჯილები და მინერალური აზოტი არ არის ყველაზე „მძიმე“ თემა არც ამ წერილის კონტესტში და საერთოდაც. ბევრად უფრო საფრთხილო და კარგად მოფიქრებული სისტემური მიდგომების მომთხოვნი საკითხია ქსენობიოტიკები. წინამდებარე სტატია ნადვილად არ ისახავს მიზნად მაღალ ნორმატიულ მატერიებში შეჭრას, თუმცა ფიქრი იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს ოპტიმალური ჩვენს სამამულო რეალობაში - ბუნებრივი ქსენობიოტიკები და მათთან შეჭიდული ახალი კულტურული ქვე-სახეობები, თუ კონტროლზე ასაყვანი ქსენობიოტიკური სოფლის მეურნეობა, ალბად საჭიროა და პირველ რიგში მოითხოვს დარგობრივი ექსპერტების კონსოლიდაციას.

თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ გვარჯილების „ცოდვას“ ტრადიციულად მხოლოდ სოფლის მეურნეს ვაკისრებთ და ფრიად ნაკლებად ვითვალისწინებთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ სუბიექტებს, და, ამ კონტექსტში, განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების მწარმოებლებს. სწორედ ამ საბაზრო ნიშაში არის უაღრესად მისასალმებელი სერტიფიცირების მიუკერძოებელი ინსტიტუტის ამოქმედება.

რატომ?

ნიტრიტის მომწამვლელი თვისებები აფერხებს მაგალითად ხორცეულის ფერის ცვლილებას, ამიტომ არის მთელი რიგი საწარმოებისა, რომლებიც ტრადიციულად მიმართავენ ამ პრაქტიკას. შევნიშნავთ, რომ თავის დროზე, შვედეთის საზოგადოება პრინციპულად დაუპირისპირდა ასეთ ტექნოლოგიას და თავისი ხელისუფლებისაგან მოითხოვა მისი აკრძალვა; პროტესტის ძირითადი ხაზი კომპეტენტური მომხმარებლის მიერ იყო ნაკარნახევი, რომელიც აცნობიერებს, რომ სამომავლოდ პროდუქტი მიმზიდველ ელფერს დაკარგავს და პირობას იძლევა, რომ სწორედ ასეთ პროდუქტს შეიძენს თავისი ოჯახისა და შვილების ჯანმრთელობისათვის.

ინფორმირებული და კომპეტენტური მომხმარებელი ევროპული საბაზრო სივრცის არანაკლები მახასიათებელია, ვიდრე სერტიფიცირებისა და საბაზრო უსაფრთხოების ნორმატიული ინსტრუმენტები და ლოგისტიკა. აქ გვესახება ჩვენი საზოგადოების წინაშე დაგროვილი გამოწვევების მთელი კომპლექსი.

ნათელა გიუნაშვილი
ბიოლოგი ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისათვის

ჩანახატი

წერილი პოლიეთილენის პარკს

„სად არ ვიხეტიალე, რა არ ვნახე, რა არ გამოვცადე. ხელ-ფეხშეკრულიც ვიყავი, შეჩვენებულიც, ჭაობის სუნიც შევიგრძენი, ცეცხლიც გამოვიარე, წყალიც გამოვიარე, ლაფიც გამოვიარე, ციცაბო აღმართიც ბევრი შემხვდა, დაკიდებულიც და თავდაღმართიც, ცეცხლმოდებული უდაბნოც და გაუვალი ტყეც, ტოტები არ მიშვებდნენ... სად არ ვყოფილვარ, ვის არ მოვუტყუებივარ, ვის არ „გამომიყენა“, ვის არ ვუნახივარ ასფერი, ფერდაკარგული, გაცვეთილი, მიგდებული, უხმარი... მაინც ყველას ვუღალატე. საკუთარ თავსაც ვუღალატე! ამის გამო მუდამ მეზიზღებოდა ჩემი თავი. ვგრძნობდი, როგორ ვიხრწნებოდი, დიდი ხნით წლობით, მეტითაც...

სად არ ვიყავი?! რამდენჯერ ამებნა თავ-გზა. რამდენჯერ მიმოვიხედე შეშინებულმა და სადა ვარ-მეთქი, ჩემ თავს ვკითხე. ისევ არ მასვენებდა ქარი, ყოველთვის ,,სხვაგან“ უნდოდა წავეყვანე. მეც აი, აქ დავრჩი - ყველგან!“ - წერს ჩემს მისამართზე მოსულ ბარათში, სახელად - პოლიეთილენის პარკი.

დიდი ფიქრი არ დამჭირვებია, საერთოდ ხშირად მომდის წერილები იმათგან ვისზეც წერას ვაპირებ ხოლმე. ეს პოლ-პარკის ბარათია ანუ პოლიეთილენის პარკის. გამოგიტყდებით და მიუხედავად იმისა, რომ ლოიალური ვარ ყველა საგნის არსებობის მიმართ, ამ ,,პარკების“ საგვარეულოზე გადამეტებულად ცუდი წარმოდგენა მაქვს და ვაპირებდი კიდევაც გულახდილად ცუდი სტატია დამეწერა.

შემაყოვნა მისმა გულახდილობამ ამ წერილში. ცუდი ბევრი ვიცი და დავიწყე მისი კარგი თვისებების მოძიებაც, დიდი ვერაფერი! გეთანხმებით, ის საჭირო იყო სანამ მისი მავნეობა დამტკიცდებოდა.

დავიწყე წერა...

...პოლიეთილენის პარკები ბუნებრივია პოლიეთილენისაგან მზადდება, რომელიც პირველად, ჯერ კიდევ 1899 წელს გერმანელმა ინჟინერმა ჰანს ფონ პეხმანმა თქვენ წარმოიდგინეთ და შემთხვევით მიიღო.

მაშინ, ამ მომავალში კოლოსალური მასშაბით გავრცელებული ნივთიერების გამოყენებას ფართო მასშტაბები არ მიიუღია. პოლიეთილენის „ხელახალი აღმოჩენა“ 1933 წელს მოხდა და მისი „მეორე სიცოცხლე“ ინჟინერ ერიკ ფოსეტისა და რეჯინალდ გიბსონის სახელს უკავშირდება. ამ დროიდან იგი ფართოდ გამოიყენებოდა, როგორც სატელეფონო კაბელების საიზოლაციო მასალა. სწორედ, მისი მეშვეობით მოხერხდა (поливинилхлорид) პოლივილინქლორიდის ჩანაცვლება.

საინტერესოა, ისიც თუ რისგან მზადდება თავად პოლიეთილენი, რადგან ეს პროცესი გარდა იმისა, რომ, ასევე წარმოადგენს გარემოს დაბინძურების წყაროს, მის მისაღებად გამოიყენება ის ძვირფასი და ღირებული ბუნებრივი რესურსი, რომლის ჩამოყალიბებასაც მილიონობით წელი სჭირდება და რომელიც, დედამიწაზე უკვე ამოწურვის პირასაა მიყვანილი.

საუბარია ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე! სწორედ მათგან, ასევე, რიგი ასევე საწვავად გამოყენებადი აირებისაგან (გაზებისაგან), კერძოდ ეთანისგან, პროპანისგან, ბუტანისგან, მიიღება ეთანოლი, რომელიც თავის მხრივ,

გარემოსთვის საზიანო ქიმიური პროცესების შედეგად შემდგომში პოლიეთილენად გარდაიქმენება.

აღსანიშნავია, რომ ჰანს პეხმანის „შემთხვევითი" მიგნების გამოყენება იქამდე მივიდა, რომ ეთანოლი დღეისათვის დედამიწაზე ყველაზე ფართოდ წამოებად ორგანულ ნივთიერებას წარმოადგენს! ყოველწლიურად ის 113 000 000 ტონა ანუ 113 მილიარდი კილოგრამი იწარმოება!!!

2002 წლისთვის მსოფლიოში პოლიეთილენის პაკეტების წარმოების საერთო მოცულობამ თითქმის 5 ტრილიონ ცალს მიაღწია..."

რატომღაც მეტი ვერ დავწერე და ამეკვიატა და ვიმეორებ ერთი და იგივეს, მან იპოვა თავისი ადგილი დროში და მე გადავწყვიტე მას გავუგზავნო საპასუხო წერილი სათაურით „,ძვირფასო, პ. პარკ შენ უკვე ამოწურე შენი თავი!"

„მინდა მოგიყვე იმაზე, რასაც შეიძლება შენ ვერ გრძნობ ან ვერ ხვდები და რათქმაუნდა შევეცდები გულახდილი ვიყო შენთან.

ერთხელ ჩემმა მეგობარმა, დიდი სერიოზულობით იხუმრა, ჩვენს ირგვლივ იმდენი პარკია ხეებზე ალბათ ლამის სიტყვა ტყე-პარკი აქედან გაჩნდაო. ხუმრობა იქით იყოს და გაუაზრებელი პრობლემებიც, რომლებიც შენ და შენს მოდგმას ახლავს, ძალიან ბევრია, სულ ყველაფერს ვერ მოგიყვები, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ არც ესთეთიური სილამაზით გამოირჩევით, როცა ქუჩაში მფრინავი სხვადასხვაფერი პარაშუტების ფორმები გაქვთ. შეიძლება შენ ქარს დააბრალო, ან კიდევ უარესი ადამიანებს, მაგრამ დიდი შანსია თავს დაესხა ნებისმიერ ჩვენგანს ან დაესხა რომელიმე მოძრავ ავტომობილს, დიდი სახიფათო რამაა შენი თვისებები უქაროდაც...რაც შეეხება ადამიანებს, იმათ ვერ გავამართლებ.

ალაბათ ისიც გწყინს შენობით რომ მოგმართავ, მაგრამ ჩვენთან იმდენად შინაური ხარ გარეთაც და შიგნითაც სხვანაირად არ შემიძლია.

მახსოვს შენი პირველი წერილი 2010-ში იქ გაბრაზებული მწერდი, უკვე იტალიაშიც ამკრძალეს, რითი მჯობია ერთი ქაღალდის პარკიო და იმ ათასგვარ არგუმენტს მთავაზობდი, რომ შენი ალტერნატივა ძვირი და უარესიაო.

მე მაშინ არ გიპასუხე და იმედია ბოლოჯერ გწერ.

ამიტომაც მინდა ამომწურავად გიპასუხო და ვცდილობ!

ჯერ ეს ერთი, ქაღალდი გარემოს არ დააბინძურებს და ნიადაგში მოხვედრის შემდეგ მალევე იშლება და ნეშომპალად იქცევა, მაგრამ გეთანხმები მისი წარმოება შედარებით ძვირი ჯდება და რაც მთავარია, ძალიან დიდი ხე-ტყის რესურსი სჭირდება. საქართველოში კი, ბოლო პერიოდში ლამისაა მთლიანად გაიკაფა მწვანე საფარი და წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ქაღალდის პარკების წარმოება რომ დავიწყოთ, თუმცა, იმედია ამ მიზნით მაინც არ აპირებენ ტყის გაჩანაგებას. ქაღალდი ძირითადად ისეთი ქვეყნებიდან

შემოაქვთ სადაც ამისათვის ხელოვნურ ტყეებს აშენებენ, სხვა ალტერნატივაც ბევრია: მაგალითად, ნაჭრის ჩანთების იდეა შესანიშნავია, რომლებიც საკუთარი ხელითაც შეგვიძლია შევკეროთ და მრავალჯერადი ფუნქციაც ექნება.

შემდეგ მეორე, თქვენი წარმოებისას გამოიყენება სასარგებლო წიაღისეული, რომლის მარაგიც ბუნებაში საცაა ამოიწურება, ამაზე ჩემს წერილშიც ვრცლად წაიკითხავ თუ დაინტერესდები ამ წერილის მერე, ისე ვიცი ჩემს ყველა მასალას გუდასმით კითხულობ. ვაგრძელებ...

არსებობს კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ჩვენს ჯანმრთელობას მნიშვნელოვან ზიანს აყენებს - თვითნებურად მოწყობილ ნაგავსაყრელებზე, რომლებიც მრავლადაა ჩვენთან, დაგროვილ პარკებში იწყება თვითაალება, რომლის დროსაც მიმდინარეობს მხრჩოლავი წვა. ამ დროს ატმოსფეროში საშიში ნივთიერებები გამოიყოფა. ასევე, საფრთხე ექმნება ცოცხალ ბუნებას, როგორც თავად ამბობდი შენ და შენისთანები ადვილად გადაიტანება ქარის მიერ ტყეებში, ზღვებში, ოკეანეებში, მდინარეებსა და ტბებში. დამტკიცებულია, რომ დაახლოებით 1 მილიარდი ზღვის ფრინველი და ძუძუმწოვარი იღუპება წელიწადში პოლიეთილეთლენის პარკების გადაყლაპვის გამო. ამაზე რატომ არასდროს მოგიწერია?!

ჩემს ქვეყანაში ძალიან ბევრი ხარ, თუმცა იმედი მაქვს მალე აღარ იქნები, რადგან ჩემდა გასახარად (და იქნებადა შენთვისაც ჯობდეს) ე.წ „მარკეტებში“ თუ ვითომდა პატივისცემის ნიშნად ცხრა შენნაირ პარკში მიდებდნენ ერთ პატარა ნივთს, ახლა ასე აღარ ხდება, ნაჭრის და თანაც სიმპატიური ეკო-ჩანთები შემოვიდა მოდაში. ბევრი აფთიაქი, საცხობიც და სხვაც უკვე ქაღალდის პაკეტებს იყენებს. ეს შესანიშნავია!

არ გეწყინოს მაგრამ შენ უკვდავი ნაგავი ხარ!

შენი გვამიც კი მიწაში 200-100 წელიც კი არ იხრწნება.

გეყოფა პოპულარობა, შენვე ამოჭამე შენი თავი!

არა პატივისცემით,

წერილის ავტორი: ს.ძ“

სოფო ძიგუა
TV და რადიო პალიტრა, გარემოსდაცვითი თოქ-შოუ „მწვანე-ზონის“ კორესპოდენტი

„მზის წყლის გამაცხელებელი კოლექტორების აწყობა და მონტაჟი" - სასწავლო წრთვნა მომავალი ოსტატებისათვის

ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდში, პროექტის „სამოქალაქო ორგანიზაციების თანამშრომლობა მთავრობასთან და სხვა დაინტერესებულ მხრეებთან ეროვნულად მისაღები კლიმატის ცვლილების შერბილების ქმედებებზე - NAMA, სოფლად მდგრადი ენერგიის განვითარება" ფარგლებში, ჩატარდა სასწავლო წრთვნა დაინტერესებული საზოგადოებისათვის, მზის ენერგიით ცხელი წყალის გამაცხელებლების საოჯახო პირობებში დაყენების შესახებ. სასწავლო წრთვნაში მონაწილობა მიიღეს პროექტის ფარგლებში შერჩეულმა დაინტერესებულმა მოქალაქეებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. კერძოდ, იმერეთის, სამეგრელოს, სამცხე ჯავახეთის, მცხეთა თიანეთისა და კახეთის რეგიონიდან. სულ, 30 ადამიანმა.

შეხვედრის პირველ დღეს ღონისძიების ორგანიზატორებმა მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია პროექტის მიზნებისა და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს ფართომასშტაბიანი ღონისძიებების გატარებას საქართველოს რეზიდენციალურ სექტორში ემისიების გაფრქვევის შემცირების მიზნით და ამ ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას. პროექტის ამოცანაა ადგილობრივ თემებში დაინერგოს ალტერნატიული და დაბალემისიური ტექნოლოგიები, გააუმჯობესოს ადგილობნრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ტრადიციული ენერგო-მატარებლების ჩანაცვლების გზით და ხელი შეუწყოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. საუბარი იყო საქართველოში მზის ენერგიის პოტენციალის შესახებ, მისი ეფექტურად გამოყენების ტექნიკურ საშუალებებზე და მსოფლიო გამოცდილებაზე.

მონაწილეებს საშუალება ქონდათ დაეთვალიერებინათ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამწის მეგობრები-საქართველოს მიერ სოფელ ივანდიდში დაყენებული მზის წყალგამაცხელებელი და მიეღოთ ინფორმაცია კოლექტორის დამზადებისა და საოჯახო პირობებში მისი დაყენების შესახებ.

სწავლების დანარჩენი დღეები დაეთმო მონაწილეებისთვის პრაქტიკულ სწავლებას. სადაც, მომავალ სპეციალისტებს საშუალება ქონდათ საამქროში დაემზადებინათ მზის ენერგიის მშთანთქმელი მოწყობილო-

ბისა და კოლექტორების დეტალები, თბოიზოლირებული ავზი, სწავლების პარალელურად საუბარი იყო კოლექტორის დაყენების პროცესში შესაძლო შეცდომებსა და რისკების თავიდან აცილების შესახებ.

სწავლების ბოლო დღეს მონაწილეებს საშაულება მიეცათ, მათ მიერ დამზადებული სხვადასხვა დელატებისგან დაეყენებინათ მზის ენერგიით ცხელი წყალის გამაცხელებლები და პრაქტიკაში გამოეცადათ მიღებული ცოდნა. რის შემდეგაც, მონაწილეებს ორგანიზატორების მხრიდან გადაეცათ „მზის წყლის გამაცხელებელი კოლექტორების აწყობა და მონტაჟი“ - დამადასურებელი სერთიფიკატები.

შეხვედრა ორგანიზებული იყო საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველოსა და საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრის მიერ.

პროექტს „სამოქალაქო ორგანიზაციების თანამშრომლობა მთავრობასთან და სხვა დაინტერესებულ მხრეებთან ეროვნულად მისაღები კლიმატის ცვლილების შერბილების ქმედებებზე - NAMA, სოფლად მდგრადი ენერგიის განვითარება“, ახორციელებს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, საქართველოს ეკოლოგიურ მიწათმოქმედთა ასოციაცია „სემა“, სოფლად თემთა განვითარების სააგენტო და საზოგადოების განვითარების ახალციხის ცენტრი, „ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის (WECF) თანამშრომლობით და საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით.

* * *

მონიტორინგი პროექტის ფარგლებში

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ და „ევროპელი ქალები საერთო მომავლისთვის (WECF)“ - წარმომადგენლებმა, პროექტის „ადგილობრივი შესაძლებლობების შექმნა სოფლად, საოჯახო პირობებში გათბობის, ცხელ წყლისა და თბოიზოლაციის სისტემების დანერგვაზე აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში“ ფარგლებში, ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდში განახორციელეს მონიტორინგი.

პროექტი, გასული წლის სექტემბერში დაიწყო და დეკემბერში დასრულდა. მისი მიზანი ოყო ხონის რეგიონში დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის ენერგომომარაგებისა და მათი პირობების გაუმჯობესება, 25 ადგილობრივად წარმოებული მზის წყლის გამაცხელებელი კოლექტორის მშენებლობის გზით. მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ მოსახლეობა კმაყოფილია მზის კოლექტორების მოხმარების, რადგანაც გაუუმჯობესდათ პირობები, შეუმცირდათ საყოფაცხოვრებო ხარჯები, მუდმივად გააჩნით მზის ენერგიით მიღებული ცხელი წყალი, ქალბატონებს შეუმსუბუქდათ შრომა. უფრო მეტიც, უმრავლესობამ გადაწყვიტა გაცილებით კომფორტული აბაზანების მოწყობა, მზის ენერგიით ცხელი წყლის გამაცხელებლის მიღებული ეფექტიდან გამომდინარე.

პროექტი ხორციელდება „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველოს“ და „ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის (WECF)“ მიერ, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მხარდაჭერით.

მომხმარებელთა დახმარების ცენტრი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს ქუთაისის ოფისში, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ფინანსური უზრუნველყობით ფუნქციონირებს მომხმარებელთა დახმარების ცენრტმა.

მომხმარებელთა დახმარების ცენტრი შესაძლებლობას აძლევს მოსახლეობას, მიიღონ მათთვის სასურველი ინფორმაცია სურსათთან დაკავშირებული მომხმარებლის უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის სამართლებრივი პროცედურების შესახებ. 24 საათის განმავლობაში მუშაობს ცხელი ხაზი. შემოსული ზარების საფუძველზე ხდება ინფორმაციის გამოკვლევა და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ამ ინფორმაციის გასაჯაროება, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ წარმოებული კამპანიის ფარგლებში.

კონსულაციისათვის შესაძლებელია დაგვიკავშირდეთ მწვანეთა მოძრაობის ქუთაისის ოფისში შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი გალაქტიონ ტაბიძის №28, ტელეფონის ნომერზე: +995 570105 573 ან მოგვწეროთ ელფოსტით: momxmarebeli.kutaisi@greens.ge

პროექტი „მომხმარებელთა და ხმარების ცენტრი ქუთაისში" ხორციელდება საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს მიერ, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით.

* * *

დედამიწის დღე ხაშურში

კამპანია „დავასუფთათ საქართველოს" ფარგლებში, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, აპრილის თვეში ხაშურის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა გარემოსდაცვითი აქციები ჩატარდა. კერძოდ, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით ქალაქის ცენტრალურ სკვერში ააიპ „სავანეს" ინიციატივით დაირგო 765 ძირი ვარდი. ხოლო ააიპ „ხაშურსერვისის" ინიციატივით დასუფთავდა ცენტრალური ბაზრის მიმდებარე ტერიტორია. დაახლოებით 2000 m^3 ფართობი, შეგროვებული ნარჩენები გატანილი იქნა ნაგავსაყრელზე. დედამიწის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 40-მდე ადგილობრივმა.

პროექტს - „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (ფაზა 2), ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი – „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოვიჟენი“ და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით.

22 აპრილი დედამიწის დღეა!

22 აპრილს - დედამიწის დღეს, კამპანია „დავასუფთაოთ საქართველოს“ ფარგლებში, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს ორგანიზებით ჩატარდა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების აქცია, სადაც ორგანიზატორებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და აფხაზეთის გარემოს დაცვის სამმართველოს წარმომადგენლებმა.

„დედამიწის დღე“ პირველად 1970 წელს აღინიშნა მსოფლიო მასშტაბით და მილიონობით ადამიანი გამოვიდა ჩვენი პლანეტის - დედამიწის დასაცავად. ის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი კამპანიაა და საკუთარი საცხოვრებელი გარემოს დაცვის მიზნით აერთიანებს მსოფლიო საზოგადოებას სხვადასხვა გარემოსდაცვითი ღონისძიების ჩასატარებლად.

პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (ფაზა 2) ხორციელდება შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით

პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (ფაზა 2) ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

რედაქტორი: ლელა ყაჭეიშვილი
გამოცემაზე მუშაობდნენ: ლელა ყაჭეიშვილი, მაია კაპანაძე
დიზაინი: ირაკლი გულედანი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო

საქართველო, თბილისი, მუხაძის ქ. №16, 0162
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2233740; ელ-ფოსტა: info@greens.ge
Web-გვერდი: www.greens.ge www.cleanup.ge